

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №15

ქ. გარდაბანი

19 დეკემბერი 2024 წელი 13⁰⁰ სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი:

სამირ ხიალოვი	მირზა მირზოევი
ზაზა ონიანი	ლაშა ქართლოსიშვილი
ვუგარ მამედოვი	ლია მეტრეველი
ტარიელ ჯანხოთელი	ზურაბ კორახაშვილი
გიორგი გურულიშვილი	ფლორა ასკაროვა
შახადატ მეხრალიევი	მადონა გაბროშვილი
ლევან ნიჟარაძე	ლალი კახურაშვილი
კამრან ბაბაევი	გუსეინკულუ მუსაევი
თამარი ხაჩიძე	აბდულალი იბრაგიმოვი
დავით ებილაშვილი	ზაბიტ მამედოვი
რასიმ ისაევი	მეითხან მეითხანოვი
ლევანი ბეგლარიშვილი	ანარ მურადოვი
ანი მანჩხაშვილი	ვახუშტი აბულაძე
ბეთქილი კახიანი	ეველინა ჩოხელი
ისლამ მამედოვი	
მაია შამედოვა	

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის -
აპარატის ხელმძღვანელის მოადგილე - ნაია დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება) ხელმძღვანელი - ნინო დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - შალვა გურულიშვილი.

დღის წესრიგი:

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

*მომხსენებელი: შალვა გურულიშვილი
თანამომხსენებელი: ლევან ნიყარაძე*

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

სხდომის თავმჯდომარემ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - მიხეილ გედეხაურმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად.

დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

- 1 „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

*მომხსენებელი: შალვა გურულუშვილი
თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე*

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 31
წინააღმდეგი - 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

ვინაიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ბენდელიანი არ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას, ამავე კომისიის წევრმა - ანი მანჩხაშვილმა, საკრებულოს წევრებს წარუდგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ნათია ბარათელის ადგილმონაცვლედ, ვახუშტი აბულაძის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შესახებ და განმარტა, რომ 2024 წლის 25 ნოემბერს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა საკრებულოს წევრის - ნათია ბარათელის №19/19243306-19 პირადი განცხადება - საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის, ამავე მუხლის მე-4 ნაწილისა და „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს - ნათია ბარათელს ვადამდე შეუწყდეს გარდაბნის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, პირადი განცხადების საკრებულოს აპარატში რეგისტრაციის მომდევნო დღიდან - 2024 წლის 26 ნოემბრიდან.

2024 წლის 29 ნოემბერს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის №21 გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიის №21/50 წერილი, თანდართული დოკუმენტით – №21 გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის №03/2024 განკარგულება - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ, რომლის მიხედვითაც სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა საკრებულოს გამოკლებული წევრის - ნათია ბარათელის ადგილმონაცვლედ, ვახუშტი აბულაძის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-6 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 135-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლე საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი ადგილმონაცვეობის ცნობის შესახებ შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სათანადო სამართლებრივი აქტის გამოცემიდან მე-14 დღიდან, რაც ეცნობება შესაბამის საკრებულოს. 2024 წლის 13 დეკემბრიდან, ნათია ბარათელის ადგილმონაცვლე გახდა ვახუშტი აბულაძე

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, კენჭი ეყარათ წარმოდგენილ საკითხზე ცნობად მიღების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –23

წინააღმდეგი –0

ცნობად იქნა მიღებული გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ნათია ბარათელის ადგილმონაცვლედ, ვახუშტი აბულაძის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

საკითხი 1.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - შალვა გურულიშვილმა - საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ** და განმარტა გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი შესახებ, კერძოდ: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით გარდაბნის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხა შემცირდა - 316,460 ლარით. სულ მიმდინარეწლისთვის განკარგულებით გამოყოფილმა თანხამ 10,899,172 ლარი შეადგინა. „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულების თანახმად გარდაბნის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 150,000 ლარი, მარტყოფი-ნორიო დიდი ლილოს დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე ალტერნატიული გზის და მილხიდის მოსაწყობად. სულ მიმდინარე წლისთვის განკარგულებით გამოყოფილმა თანხამ 300,000 ლარი შეადგინა. ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N56 განკარგულების თანახმად გარდაბნის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო - 16,041 ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად. ჭარბი შემოსავლების მიღების შედეგად გაიზარდა არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი, კერძოდ შემოსავალი მიწის რეალიზაციიდან - 85,000 ლარი. ხარჯების ოპტიმიზაციისა და ინფრასტრუქტურული პროექტების სატენდერო ეკონომიებიდან მორჩენილი თანხა 353,000 ლარი. სულ - 438,000 ლარი გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი - 12,000 ლარი;
- ააიპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი - 8,000 ლარი;
- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი - 30,400 ლარი;
- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანების ცენტრი 3,800 ლარი;
- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება - 8,800 ლარი;
- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი - 110,000 ლარი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო საქონელი და მომსახურების მუხლი 75,000 ლარი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო სხვა ხარჯების მუხლი - 15,000 ლარი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია საქონელი და მომსახურების მუხლი 90,000 ლარი;

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები - 85,000 ლარი;

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრებმა არ მიიღეს კენჭისყრაში მონაწილეობა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -24

წინააღმდეგი -0

მიღებულია დადგენილება №30 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



მიხეილ გედეხაური